



ბერძენის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №1(39) 2013 წ. 1-15 იანვარი ზასი 50 თეთრი

დიდი ქრისტიანული დღესასწაული : მართელო ერო – გისბროდენ!
ქრისცაშობა : ბერი გაბრიელი წინდანად შიიჩასხა



ღამისა და ევას სამოთხიდან განდევნის შემდეგ შემოქმედმა აღუთქვა, რომ კაცთა მოდგმას მაცხოვარს მოუვლენდა. ებრაელი ერი მოთმინებით ელოდა ამ წინასწარმეტყველების აღსრულებას და აი, შეროდეს მეფობის დროს დავითის ქა-

ლაქ ბეთლემში, მწირ, მიტოვებულ გამოქვბულში ბაგასა შინა იშვა მხსნელი სოფლისა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე. და აი, ახლაც დადგა ბრწყინვალე დღე ქრისტეშობისა. ანგელოზთა გუნდნი ისევ სახეიმოდ აუწყებენ ცასა და ქვეყანას ქვეყნიერების მხსნელის განხორციელებას ნაცნობი საგალობლით: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“ (ლუკა 2, 14). ჰოი, საიდუმლო საკვირველი და დიდებული: მწყემსნი გაკვირვებულნი შესცქერიან მოხეიძე ზეცას. ანგელოზნი დაღადებენ, მთავარანგელოზნი უგალობენ, ქერუბინნი აქებენ, სერაბიმნი აღიდებენ. დღესასწაულს ყოველი დაბადებული, რამეთუ ღმერთს ხედავენ ქვეყნად და კაცს ზეცას.

შავთხოვითი მართლმადიდებელი ეკლესიის მამა, საყოველთაო სიყვარულის მომხვეჭელი მამა, დიდი მეოხი ქართველი ერისა, წმინდანად შერაცხა! მალე, უახლოეს მომავალში მისი საფლავის გახსნა და როგორც მან სიკვდილამდე იწინასწარმეტყველა – მისი ცხედრის გადაბრძანება სამთავროს მონასტერში მოხდება. როგორც ამბობენ, ქართული ტრადიცია არაა წმიდა ნაწილების მოპოვება – საფლავის გახსნა. სულ 18 წელია გასული მისი ამ სოფლიდან გასვლიდან, მაშინ როცა სერაფიმე საროველი – დიდი რუსი მამა, გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ შერაცხეს წმინდანად. მამა გაბრიელს საღოსად და აღმსარებლად არა მარტო საქართველოში იცნობენ, არამედ, ზოგადად, მართლმადიდებელურ სამყაროშიც ასეთად არის მიჩნეული. ამას კი წმიდა ათონის მთის მოღვაწე ბერებიც აღიარებენ.



ლოცვაც, რომელიც თითოეულმა ქართველმა უნდა ვიცოდეთ:

„ღმერთო, გმობკვაი შენ, ზეციდან ბრძანებნი, აიცი წმინდან იბრუნე, წყალობა მოგმობკონი, შენ ბაბილონი მშობილი, რომ მიხრევი, რომ მიხრევი და ბოროტს ბაგობკონი. მასწავლე, შხალე, შენ წინაშე ღრცხა და შენი წმიდა სჯულის დაცვა, რომ შენი წმიდა სჯულით მიხრევი.“

დაე, ბერი გაბრიელის ლოცვამ სულიერად აგვამადლოს, გაგვამდიეროს რწმენაში და ქრისტესმიერი სიყვარულის გზით გვატაროს სრულიად საქართველო, ქართველი ერი!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა მამა გაბრიელი (ურგებაძე) ჩვენი დროის დიდი მამა, საყოველთაო სიყვარულის მომხვეჭელი მამა, დიდი მეოხი ქართველი ერისა, წმინდანად შერაცხა! მალე, უახლოეს მომავალში მისი საფლავის გახსნა და როგორც მან სიკვდილამდე იწინასწარმეტყველა – მისი ცხედრის გადაბრძანება სამთავროს მონასტერში მოხდება. როგორც ამბობენ, ქართული ტრადიცია არაა წმიდა ნაწილების მოპოვება – საფლავის გახსნა. სულ 18 წელია გასული მისი ამ სოფლიდან გასვლიდან, მაშინ როცა სერაფიმე საროველი – დიდი რუსი მამა, გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ შერაცხეს წმინდანად. მამა გაბრიელს საღოსად და აღმსარებლად არა მარტო საქართველოში იცნობენ, არამედ, ზოგადად, მართლმადიდებელურ სამყაროშიც ასეთად არის მიჩნეული. ამას კი წმიდა ათონის მთის მოღვაწე ბერებიც აღიარებენ.

წმინდანების საფლავების გახსნა საუკუნის მოვლენად მიიჩნევა ყველგან, რადგან ამ დროს უამრავი სასწაული აღესრულება – უიმედოდ სნეულთა კურნებანიც კი აღესრულება და გიხაროდენ ქართველო ერო, ასე იქნება მცხეთაშიც სულ მალე!

წმ. ბერი გაბრიელი წარმოშობით საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთიდანაა.

გილოცავთ მამა გაბრიელის წმინდანად შერაცხვას. აი, მამა გაბრიელის

ფეხბედნიერი ყოფილიყოს წმინდა ბერი გაბრიელის პირველად დაწერილი ხატის შემობრძანება თქვენს ოჯახებში, ჩვენი გაზეთის მკითხველო!

საშობაო აღილო

ღილო შობის დადგომამდე აღესრულებოდა. საღამოს შობის დადგომამდე გამოდიოდნენ ქუჩაში. ადამიანებს ულოცავდნენ ქრისტეს შობას, რაც უდიდეს სიხარულს იწვევდა ადამიანებში. სიტყვა „აღილო“ „აღილუიდან“ მომდინარეობს. „აღილუი“ ანგელოზთა საგალობელია, რაც ნიშნავს – „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“.

„აღილო“ ხალხური ტრადიციაა – მისი მონაწილენი გარეგნულად გამოსხატავენ მაცხოვრის შობით გამოწვეულ სიხარულს, უფლის შობის ხალხური საგალობლებით. ესეც ერთ-ერთი ფორმაა ღვთის დიდებისა, ღვთისადმი მსახურებისა. მედილიოები არიან მოხეიძე ადამიანები. ისინი განასახიერებენ მწყემსებს, რომლებსაც ანგელოზებისგან ეუწყათ მაცხოვრის შობის შესახებ და მათ კაცობრიობას ახარეს. აღილოს საგალობელ ტექსტში შეტანილია ანგელოზთა გალობაც, რომელიც ანგელოზებმა იგალობეს ქრისტეს შობის დროს. ძღვნის შემწირველნი კი განასახიერებენ მოგებებს, რომლებმაც ძღვენი შესწირეს ახალშობილ მაცხოვარს. კომუნისტურ პერიოდში აღილოს ტრადიცია თითქმის მივიწყებას მიეცა, თუმცა ბოლო დროს კვლავ აღდგა, როგორც ხალხური, ასევე საეკლესიო ტრადიცია. ბოლო რამდენიმე წელია, საშობაო წირვის დასრულების შემდეგ, შობა დღეს პატრიარქის კურთხევით აღესრულება აღილო. ადამიანები შობა დღეს განსაკუთრებით იხსენებენ, ეხსენებთ მოწყალების გაღების სურვილი, რადგან ადამიანი ღვთის ქმნილებაა და ასეთ დღეებში მეტად ესმის გულის კარზე უფლის კაკუნის ხმა და თვითონაც უღებს თავის გულის კარს უფალს. ქრისტეს მოსვლით გამოწვეულ სიხარულს ადამიანები მოწყალების გაღებით გამოხატავენ. მცირედი შესაწირავიც რომ გაიღოს ადამიანმა ამ დღეს, ღვთის წინაშე ასმაგად დაუფასდება.

წინასასაზღვრო დღეების კალენდოსკოპი

რძანს მუნიციპალიტეტებში

წინასარჩევნო დაპირებების შესრულება იწყება

დეკრეტი ამომრჩევლებს ხვდება



შეხვედრა ბიორეგიონალში

აყოფი, სადაც მოხდება სოფლის მეურნეობის აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად წარმოდგენილი პროექტების შეკრება, განხილვა, რის შემდეგაც პროექტი მიიმართება დასაფინანსებლად. ამ პროგრამის დამფინანსებელი ფონდი იმის გამო, რომ 1 მილიარდიანია, ამიტომ არ დარჩება არც ერთი პროექტი დაუფინანსებელი, ოღონდ პროექტს თავისი საბოლოო სახე ბოლომდე უნდა აქონდეს მიღებული. თებერვლამდე ჩვენს ქვეყანაში შემოვა 125 მილიონი ლარის ღირებულების სამეურნეო ტექნიკა.

საჭირო. მოგების შემთხვევაში იგი 50-50-ზე გაიყოფა ინვესტორებს და გლეხებს შორის.

მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციაზე სახელმწიფო თავად ვერ აიღებს პასუხისმგებლობას. აუცილებელია სოფლად სასოფლო კოოპერაციის წახალისება. წერილი ოჯახური მეურნეობა უნდა გამსხვილდეს, წერილი მეურნეობები ნებაყოფლობით უნდა გაერთიანდნენ კოოპერატივებად, ან სააქციო საზოგადოებებად, ერთობლივ საწარმოებად და სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად. სათქმელია ისიც, რომ მსხვილი საწარმოების კოოპერირება ხელს შეუწყობს მედიორაციის, მექანიზაციის, სასუქისა და შხამქიმიკატების უფრო ეფექტიან გამოყენებას. 5 პექტრამდე მიწის მფლობელი შექმნის საოჯახო სოფლის მეურნეობას, ხოლო 5 პექტრის ზემოთ მფლობელი უკვე სოფლის მეურნეობის სერიოზულ პროგრამაში იქნება ჩართული. ასევე დაფინანსდება 2 პექტარი მიწის მფლობელიც, ოღონდ ამ შემთხვევაში მიღებული პროდუქციის რეალიზაციაზე პასუხისმგებლობას სახელმწიფო ვერ აიღებს.

მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დახვეწის სისტემის ჩამოყალიბებას. იმის

გამო, რომ მსოფლიო მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე, დღის წესრიგში ისეთი საკითხები დგას, რომლებიც პრიორიტეტულია: მარცვლეულის წარმოება, მეცხოველეობა-მერძევეობის განვითარება, სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების გაკეთება, ტექნიკური კულტურების გადამამუშავებელი საწარმოების, სასათბურე მეურნეობების და ბიომეურნეობის მოწყობა.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საირიგაციო სისტემის გამართულობა. სამგორის სარწყავი სისტემა, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლების მოსახლეობას ემსახურებოდა 100%-ით იქნება რეაბილიტირებული. ეს სამუშაოები უკვე დაწყებულია და მარტის ბოლოსათვის სისტემა მზად იქნება სარწყავი წყლის გასაშვებად.

ქნმა თინათინ ხიდაშელმა გიორგიშვილის თემის მოსახლეობის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა, რომლებიც საიჯარო მიწების პრივატიზების კანონსა და ბანკიდან აღებული სესხების დაფარვას ეხებოდა.

შეხვედრის ბოლოს აქაური თემის მოსახლეობას პარლამენტის წევრმა და მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგიშვილის თემის ახალი რწმუნებული **ბიორეგიონალში** წარუდგინა.

იმავე დღეს ქნი თინათინ ხიდაშელი და ბატონი გიორგი ლოლაძე კაკაბეთის მოსახლეობას შეხვდა სოფლის მეურნეობის ახალი პროგრამის გასაცნობად.

თინა ილაური

დეკემბრის ბოლო დღეები საქართველოს პარლამენტის წევრმა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაკორიტარმა **დეკრეტმა თინათინ ხიდაშელმა** მუნიციპალიტეტის **გამგებელ ბიორეგიონალში** ერთად მოსახლეობასთან შეხვედრებში გაატარა. თათბირზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს, შემდეგ კი ჯერ გიორგიშვილის თემის, შემდეგ კაკაბეთის მოსახლეობასთან შეხვედრისას, ქნმა თინა ხიდაშელმა ისაუბრა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების იმ პროგრამის შესახებ, რომელიც ქვეყანაში ახალი წლის პირველივე დღეებიდან ამოქმედდება. მან აქვე აღნიშნა, რომ დაპირებები, რომლებიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას წინასაარჩევნო შეხვედრების დროს მისცა პირადად მან და საერთოდ, „ქართულმა ოცნებამ“, უნდა შესრულდეს. და, აი პირველი განსახორციელებელი პროგრამის პროექტი აშშ-ს მხარდაჭერით დაიწყებს განხორციელებას.

ამ პროგრამის მიზანი კი არის ის, რომ გლეხი უზრუნველყოს ყველა იმ ინსტრუმენტით, იმ ბერკეტით, რაც სოფლის მეურნეობას ფეხზე დააყენებს, – თქვა გიორგიშვილის თემის მოსახლეობასთან შეხვედრისას ქნმა თინათინმა, – საგარეჯოში შეიქმნება სოფლის მეურნეობის საგარეჯოს დან-

ტრექტორს, საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას ეყოლება თავისი მძღოლი. დაფინანსდება მძღოლის ხელფასი, დაფინანსდება საწვავი, მომსახურება, რასაც შესაბამისი ინვესტორი დაფინანსებს. გლეხი ამაში თანხას არ გადაიხდის. აქ საუბარი იყო მრავალწლიან, დაბალპროცენტულ კრედიტებზე, ეს იქნება 0%-იანი კრედიტი 3 წლის გარანტიით. მაგრამ... ამ თანხით გლეხი სხვა პრობლემებს ვერ მოიხსნის. სოფლის მეურნეობის პროგრამაში ჩართული გლეხი სარგებლობს იმ საკრედიტო ბარათით, რომელსაც იღებს თავისი მიწის ფართობზე სოფლის მეურნეობის კულტურის დასათესად და საერთოდ, შხამქიმიკატების, სასუქების შესაძენად, მოწვეული მოსახლის აღება-დაბინავებისათვის. საკრედიტო ბარათზე დარიცხულ თანხას გლეხი მხოლოდ მიზანმიმართულად იყენებს, როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნულ თანხას სხვა მიმართულებით უბრალოდ ვერ გახარჯავს. ამ თანხის გამოქვითვა ხდება სოფლის მეურნეობის ცენტრში, საიდანაც გლეხი იღებს მისთვის საჭირო შხამქიმიკატებს, ორგანულ და არაორგანულ სასუქებს. რაც შეეხება მუშახელის დასაქმების საკითხს, აქაც დასაბუთებული იქნება საჭირო დოკუმენტაციით დაქირავებულზე გასაცემი ხელფასი – განსაზღვრული იქნება ფულადი რესურსი და კონკრეტული დახმარება სად იქნება



შეხვედრა კაკაბეთში

ახალი წლის მკვლევები... ისინი კლინიკა „ლაიფში“ დაიბადნენ



„წუხელის გოგოც დაბადებულა“
წონა 3300 კგ
სიგრძე: 51 სმ



„წუხელის ბიჭი დაბადებულა“
წონა 4100 კგ
სიგრძე: 50 სმ

მედიკალი



დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს პატარა შეილიშვილს **მარიამ აბულაშვილს**. გაიზარდე, გაიხარე შენს მშობლებთან და პატარა დაიკო ნინისთან ერთად

გეგია და პაპა

თამარიკო და ზურა

წინასახალწლო მილოცვა



სახალწლო საჩუქრებით მიულოცეს ახალი წლის მოახლოება საქართველოს პარლამენტის წევრმა, საგარეო მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა თინათინ ხიდაშელმა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ლოლაძემ, გამგებლის მოადგილემ ბესიკ მარტიაშვილმა, გამგეობის სოციალური სამსახურის თანამშრომლებმა მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მრავალშვილიანებს, დიდი სამამულო ოის ვეტერანებსა და ლტოლვილებს. წინასახალწლოდ საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობამ სულ 550 ოჯახს მიულოცა სახალწლო საჩუქრებით შობა-ახალი წლის დადგომა.

სახალწლო კონცერტი



საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა განიხილეს 2013 წლის ბიუჯეტი

საგარეო მუნიციპალიტეტის 28 დეკემბრის სხდომაზე ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი, მისი მოადგილე პაატა ბუზარიაშვილი, საგარეო მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბესიკ მარტიაშვილი. დღის წესრიგი დეპუტატებს საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელმა გააცნო. განხილულ იქნა საკითხი „საგარეო მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ „საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ასევე განხილულ იქნა საკითხი „საგარეო მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ“.

აღნიშნულ საკითხებზე დეპუტატებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და ბოლოს მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საგარეო მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 5 819 000 ლარით.

საკრებულოს სხდომაზე განიხილეს სხვადასხვა საკითხებიც, რომლის ირგვლივ ასევე იმსჯელეს დეპუტატებმა, გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.



საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი



გზებზე მოძრაობის წესებს, ტრაქტორის ზოგად აგებულებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, მექანიზებული სამუშაოების ორგანიზაციასა და ტექნოლოგიას, ტრაქტორის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტს, ტრაქტორის მართვის პრაქტიკულ სწავლებას. შერჩევა გასაუბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა კი საგარეო მუნიციპალიტეტის უფროსის სააგენტოს უნდა მიაკითხონ.

თათბირზე ასევე განიხილეს ის პრობლემები, რომლებიც ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებმა თითოეული სოფლის მიხედვით დააყენეს. საუბარი იყო ნინოწმინდის, უდაბნოს, ბაღიაურის, ვერხვიანის, დიდი ჩაილურის, კოჭბანის, თულარის, გიორგიწმინდის, შიბლიანის თემებსა და თემში შემავალი სოფლების ტერიტორიაზე მოსაგარეო მთელ რიგ საკითხებზე. ასე, მაგალითად, მოსახლეობის სასმელი წყლით, ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში არსებულ ხარვეზებსა და წინააღმდეგობებზე. ასევე ითქვა, რომ მისახდია სოფლის სასაფლაოები, თითქმის ახლიდან არის ასაშენებელი სოფლის საკრებულოს შენობები, გასარკვევია იჯარით გაცემული მიწების მესაკუთრეთა ვინაობა და ა.შ.

დაისახა კონკრეტული გზები თათბირზე დაყენებული საკითხის ოპტიმალურ ვადებში გადასაწყვეტად.



8 იანვარს საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, გამგებლის მოადგილეები ბესიკ მარტიაშვილი, გონა (გეგზია) ჩერქეზიშვილი, გამგეობის სამსახურების უფროსები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ახლადდანიშნული რწმუნებულები. თათბირს უძღვებოდა ბ-ნი გიორგი ლოლაძე. თათბირზე მეტად საინტერესო ინფორმაცია გააკეთა საგარეო მუნიციპალიტეტის უფროსის სააგენტოს უფროსმა ჯიმშეროსიაშვილმა. როგორც მან აღნიშნა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და შპს „მექანიზატორი“ საქართველოს მასშტაბით აცხადებს ტრაქტორისტ-მემანქანეთა 900 ვაკანსიას. გაზაფხულისათვის აქ 2000-მდე ადამიანი იქნება დასაქმებული. აღნიშნული საზოგადოება 2013 წლის გაზაფხულიდან იწყებს ახალ სპეციალიზაციას, რისთვისაც აწყობს ტრაქტორისტ-მემანქანეთა შერჩევა-გასაუბრებას. შერჩეული კანდიდატები გაიფიქრებენ გადასადგომის კურსებს და დაუფლებიან ტრაქტორისტ-მემანქანის პროფესიას. შერჩევა-გასაუბრებაში მონაწილეობას მიიღებს პიროვნება 18-დან 55 წლამდე. კურსებზე შეასწავლიან

განხილეს 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ. აღნიშნულ საკითხებზე დეპუტატებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და ბოლოს მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სტიქიისგან დაზარალებულთა დასახმარებლად



ჩვენი მუნიციპალიტეტის სამ სოფელში: კაკაბეთში, ყანდაურასა და ვერხვიანში. ამ ტერიტორიულ ორგანოებში სტიქიისაგან დაზარალებული სახლების სახურავის გადახურვა მოხდა საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს უშუალო მეთვალყურეობით. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა ოჯახმა თავად ითხოვა მიგვეცა მათი სახლის სახურავისათვის განკუთვნილი თანხა, თავადაც მოიძიებდნენ თანხებს და ორივე თანხის შეერთებით ოჯახი შეძლებდა სახლის სახურავის გადახურვას. „ქართუ ჯგუფმა“ სტიქიისაგან დაზარალებული სახლების სახურავების გადახურვაზე იმუშავა. მათ გადახურეს კაკაბეთელების: ტარიელ ხუნაშვილის, თენგიზ კვეზერელის, მიშა შაროვის, შოთა ნანუაშვილის, ყანდაურელების: რობინზონ ათოაშვილის, ნუგზარ გიქორაშვილის, ვახტანგ ჯავახიშვილის, ზაზა მჭედლიშვილის და სხვათა სახლები. დღეისათვის სულ 20 ოჯახის საცხოვრებელ სახლს გადაეხურა ახალი სახურავი.

ამ ორიოდ დღის წინ ჩვენ კვლავ გადავხედეთ სტიქიისგან დაზარალებული მოსახლეობის სიას და საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს დამატებით 24 ოჯახის მონაცემები მივაწოდეთ, რომელთა საცხოვრებელი სახლების სტიქიისგან დაზარალებული სახურავები შეცვლას მოითხოვს.

გაფხულში სეტყვისა და ქარისაგან დაზარალებული სახლების სახურავების გადახურვას ელოდნენ კაკაბელები, ყანდაურელები და ვერხვიანელები. წლის ბოლოსათვის უკვე გადაიხურა 20 ოჯახის სახლი. გადახურვის სამუშაოები ჩაატარეს „ქართუ ჯგუფის“ მშენებლებმა. როგორც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის **მოადგილე ცისმარ თელიაშვილმა** აღნიშნა ჩვენთან საუბარში: – „ქართუ ჯგუფის“ მიერ სამუშაოები შესრულდა

სახლების სახურავი გადაიხურა

სტიქიით დაზარალებული სახლების სახურავების შეცვლა საგარეჯოშიც განხორციელდა. შპს „არსაკიძე“ (დირექტორი რევაზ ბაჩოშვილი), საგარეჯოში დაზარალებული სახლების (ნათელა ხატიაშვილის, (მარჯვნივ ზემოთ), ნაზი ალამბარაშვილის (მარცხნივ) და სამხარაძეების მრავალწილიანი ოჯახის (მარჯვნივ ქვემოთ) სახლების სახურავები შეაკეთა.



იუბილე

85-65 — მრისა და ისტორიის სამსახურში



გამოძახილს...
ძიებაში, შემოქმედებით საქმიანობაში გაიღია ნახევარ საუკუნეზე მეტი. ამ ხნის მანძილზე არაერთი მეცნიერული გამოკვლევა, მოთხრობა გამოქვეყნებულა მისი და არაერთი მკითხველიდანაც მიუღია მადლიერება იმ სიამოვნებისთვის, რასაც მისი ნაწერები იწვევს. გთავაზობთ მათგან რამდენიმეს:

ბატონო ლემო, ალექსანდრე!

გულდასმით წაგიკითხე შენი „ნინოწმინდა“. თქვენს გაზეთს რომ არაფერი დაეწერა მთელი წლის განმავლობაში, ამ წერილითაც მადლობით მოიხსენიებს მრამდელი. ხოლო თანამედროვენი, ჩემი ჩათვლით, თავს ეხრით მისი ავტორის წინაშე. დღეისათვის ეს გმირობაა – გააცნო შენს თანამედროვეს, და არა მდროვეს, საკუთარი კულტურის ძეგლის, და არა მარტო ძეგლის ისტორია. ყოჩაღ ჩემო თანამედროვე ნინოწმინდელო!

დღეს არაფერი არ გვაკლია ისტორიორც განმანათლებლები, – მოძღვარნი, ერის გუთნისდევანი, მწვემნი და ერის ქურუმნი! აი, ვინა ხარ შენ, ჩემო ძვირფასო ლემო!
მართალია, ჩვენი ამხანაგები მრავლად იქნენ აკადემიკოსებად (წელს მ. თოდუაც წამოაყენეს), რომ არაფერი ეთქვათ პროფესორებაზე, მაგრამ შენ მათზე ათჯერ მეტს აკეთებ ერისათვის! ამიტომ, ყველა ფრინველებში, ყველაზე მეტ პატივს ეცემ ბელურას, რომელიც არასდროს, ყველაზე დიდ ყინვაშიც, არ მიატოვებს თავის სამშობლოს და არ მიფრინავს სამხრეთისაკენ! დიდება მათ

85 წლის შესრულდა საგარეჯოს რაიონის მემკვიდრე. არ არსებობს საგარეჯოს რაიონის არც ერთი ისტორიული ძეგლი, რომელიც მას არ მოეწონებინოს, თავის უბის წიგნაკში არ შეეცანოს ჩამოშლილ-ჩამოწეწილი და იქნებ მიწის პირისაგან აღსაგველად თითქმის გამზადებული ციხე-კოშკი და გადავანი, ეკლესია თუ სამლოცველო, პატარა ნიში თუ ძველისძველი, ხავესმომკლავრებული საფლავები. თითოეული ეკლესიის კედელში ჩატანებული ქვის წარმომავლობაც კი ახსოვს. როცა მის ჩანაწერებს ეცნობი, იქნებ გაგიკვირდეს კიდევ, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას ფეხით, ტყე-ტყე, მიწდორ-მიწდორ დადიოდა და ეძებდა წინაპართა ნატერფალებს, ეცნობოდა მათი სულის

მსგავსი, ჩვენს თანამემამულეებს!!!
შენი ვახტანგ გურგენიძე
25.12.79 ქ. თბილისი

მეგობრული სალაპი ამხ. ალ. ელიაშვილს!

დიდის დაგვიანებით მივიღე თქვენი გაზეთი „იერის განთიადი“. გაზეთი გამოიგზავნა ჩემმა მეგობარმა, ცნობილმა მწერალმა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა. მანვე გახსნა თქვენი ფსევდონიმი „ალ. თვალთაველი“.
წაგიკითხე თქვენი მოთხრობა „ჯუნგა“. ძალიან გამიხარდა და მომეწონა. გასაგებია, თუ რატომ გამიხარდა, თვითონ ხომ მწერალი ბრძანდებით. მომეწონა, რადგან ბრწყინვალედ გაქვთ გამოყენებული ჩემი „მარტილის აკვანში“.

ქათინაურად არ მიიღოთ და გეტყვით: თქვენი ჯუნგა ისე ოსტატურადაა დაწერილი, რომ პირდაპირ სახელმძღვანელოშია შესატანი. დაამშვენებდა სახელმძღვანელოს და გამოადგებოდა სკოლას.

რა კარგი იქნებოდა, თქვენი გაზეთი ჩემთვის გამოგვეზავნათ? მე ხშირად მიხდება პიონერებთან შეხვედრა და წაუუკითხავი პატარებს.

მოკლედ გითხრათ: თქვენი „ჯუნგა“ უნდა გასცდეს თქვენი გაზეთის ფურცლებს და შევიდეს დიდ ლიტერატურაში, დირსიცაა და სასურველიც...

მეგობრული პატივისცემით როლიონ ქორქია
28 მარტი, 1982 წ.

ბატონი ალექსანდრე ელერაშვილი სწავლული ისტორიკოსი, მწერალი, კულტურის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, უამრავი ჟურნალისტური ნარკვევის ავტორი, საქართველოს და საგარეჯოს მემატიანე და გულშემამტკივარი „სათნოების სახლის“ ბენეფიციარია თავის მეუღლესთან ერთად. მართლაც ჯანმრთელი, მუდამ მოფუსფუსე თავის ეზო კარ-მიდამოში, მუდმივად მიყურადებული საგარეჯოს ისტორიკოსი და დღევანდლობაზე, მაინც ახერხებს – ყოველ დილას შემოვიხსნას რედაქციის კარები, შეგვეხმიანოს, მოგვიტანოს ისტორიის ფურცლები, გვესაუბროს და მაგრამ, ასევე დიდი გულსიყუროთა მიყურადებული კერძლის საათზე – არ დაგვიანდეს „სათნოების სახლში“ (№2-ში) უნდა მოუსწროს თავისი ოჯახის ულუფას, თანაც ცენტრიდან ფეხით უნდა ჩავიდეს კახეთის გზატკეცილზე არსებულ „სათნოების სახლში“, იქიდან ისევ ფეხით გაუყვება სახლისკენ გზას – პურის ფულს ვერ დახარჯავს სამარშრუტო ტაქსში. სახლში თბილისიდან უსახლკაროდ და უსამსახუროდ დარჩენილი შეილი, რძალი, შვილიშვილი, შვილთაშვილი და თავისი მძიმე უღლის გამწვევი მეუღლე ელოდება.

ბამონაშურები ქალაქი 50 წლისაა! ბამონაშურები

რაც ჩვენი მოქალაქეებისათვის პრიორიტეტულად მიიჩნევა

რომ ღამაშია ეს საბარეჯო?!

საგარეჯოელი ვარ და მუდამ დიდი ინტერესით ვეცნობი „გარეჯის მაცნეში“ გამოქვეყნებულ მასალებს, განსაკუთრებით იმ წერილებს, რომლებიც ჩვენს 50 წლის იუბილარ ქალაქს ეხება. ამ ბოლო ხანებში გაზეთში დაბეჭდილი სტატიები უფრო სამართლიანი და საინტერესო გახდა, – ასე დაიწყო საუბარი ამ დღეებში რედაქციაში სტუმრად მოსულმა 71 წლის **საბარეჯოელმა ომარ კამოთაშვილმა**, რომლის თვალსაზრისი ჩვენი ქალაქის შესახებ რამდენიმეჯერ უკვე მითხრობდა მკითხველს.

– მიმანია, რომ ამ ბოლო წლებში გარკვეული სამუშაოები ჩატარდა საგარეჯოს კეთილმოწყობისათვის, თუმცა სრულყოფილი ქალაქის იერ-სახის მიღწევამდე კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, – განაცხადა მან. – მე, როგორც ერთ რიგითი საგარეჯოელი და ქალაქის გულშემატკივარი, მიმანია, რომ ქალაქში ჩვენი პატარებისათვის მოწყობილი უნდა იყოს გასართობი და კულტურული დასვენების კერები. სამისოდ გამოდგებოდა ყოფილი დოსააფის ორსართულიანი შენობა, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზეა და მისი მიმდებარე თავისუფალი ტერიტორია. ამ ადგილზე ბავშვებისათვის შეიძლება დაიდგას კარუსელი, შენობაში კი გაიხსნას მაგიდის ჩოგბურთის და ბადმინტონის სათამაშო ოთახები, მოეწყოს ტირი.

ქალაქის მაცხოვრებლებს დიდი მოლოდინი აქვთ, რომ ქალაქის ცენტრის გარდა **მთავალტლემა** სხვა **ქუჩების ტრულტუარები, მოწმინდვლა** მათ გასწვრივ მდებარე **სანიაღვრე არხები**, აუცილებლად მიმანია ქალაქში რამდენიმე ადგილზე **მოეწყოს საზოგადოებრივი სააბაზოები**, ურომლისოდაც ქალაქის ტერიტორიას ანტისანიტარია მოიცავს.

ადრე სარწყავი წყლების სიუხვის პირობებში საგარეჯოელები სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგ მოსავალს იღებდნენ. მიმანია, რომ ეს ახლაც შესაძლებელია, თუ თვალთხევე **მოეწყოს სათანადო საზღვარი**, საიდანაც მოსასხლეობა მიიღებს სარწყავ წყალს, თუნდაც გარკვეული საფასურის გადახდით. ამ მოგუბარში შესაძლებელია თევზის მოშენებაც, გარშემო ხეების დარგვა.

მოგესხვნებათ, რომ საგარეჯოელებს იერისპირა ფართობებზე ე. წ. მუხის

მიდამოებში გაშენებული აქვთ ვენახები და ბაღ-ბოსტნები, მაგრამ მანქანით იქამდე მიღწევა გაძნელებულია. ამის მიზეზია გზების გასწვრივ არსებული სანიაღვრე არხების გაუშენებლობა. ნიაღვრებისაგან დახრამულია ეს გზა და იქ მანქანების კი არა, ფეხით სიარულიც კი გაძნელებულია. ეს გზა მიდის მდინარე იორამდე, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ ვითომ მოაწყეს გადასასვლელი ხიდი, რომელიც შემდეგ მოვარდნილმა იორამა წააღწია. გასარკვევია, მართლა წყალდიდობის ბრალია ეს, თუ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების. კარგი იქნება თუ ეს ხიდი ისევ აღდგება, რითაც მოსასხლეობას „სააღლოს“ ნაკვეთებამდე მისასვლელი გზა 7 კმ-ით შეუმცირდება.

ჩვენს მოქალაქეებს **ბაზრის უძრავობის** გამო სხვადასხვა საყიდლებზე სართიჭალაში ან იორამდინარის ბაზრობაზე უხდებოდა სიარული. ჩვენს გარე მოვაჭრეებს ისეთი ფასი უდევთ საქონელზე, რომ... ფაქტურად იქ გლეხები იშვიათად მოდიან. ძველი ბაზრის ადგილზე შენდება ახალი შენობა, მაგრამ იგი პატარაა და იქაც იგივე მოვაჭრეები იქნებიან. ამიტომ ვაყენებ წინადადებას, **მოეწყოს**

ახალი ბაზარი თვალთხევის მარცხენა სანაპიროზე, თამარ მეფის ქუჩაზე, სადაც ორმხრივი სამანქანო გზა გადის. აქ ხევისპირა ნარგავების გასწვრივ ქვეყრილზე შეიძლება მოეწყოს დახლები, ფარდულები და სხვა. აქ იმდენი ტერიტორიაა, რომ შესაძლებელია პირუტყვითა და ფრინველით ვაჭრობაც. აღნიშნული ღონისძიების მეშვეობით გათავისუფლდება ერეკლე მეორის ქუჩაზე სავალი ტროტუარები, რომლებიც ახლა იქ მოვაჭრე ერთი და იგივე პიროვნებებს აქვთ ჩახერგილი და ფეხით მოსიარულები იძულებული არიან მანქანების სავალ გზაზე იარონ.

უმართებულად მიმანია **ხორცის პროდუქტებით** დია ცის ქვეშ **სამანქანო გზების სიასლომის მაჭრობა**. აქ ეს პროდუქტები არაფრით არიან დაცული ბაქტერიების მოხვედრისაგან და საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ბევრ საგარეჯოელს აინტერესებს **ქურორტ „ცნობილი“** ბელი. შეგვეძლება თუ არა მომავალში იქ დასვენება და არსებული ნაკვეთების გამოყენება. კარგი იქნება თუ ამ საკითხებზე თქვენი გაზეთი მოგვაწვდის დასაბუთებულ და კონკრეტულ პასუხს, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

ბვიყვარდეს საბარეჯო, ბვიყვარდეს ერთმანეთი

საქართველო – სამყაროსათვის დაუსაბამო, დედის თვალების სინათლესავით სანუკვარი, „ორ ზღვას შუა ძველთაგანვე საომარი ლელი“, ცა-ფირზე ხმელეთ-ზურმუხტი; ცის თაღის დედაბოძი – კაკასიონი, ამერ-იმერის შუბლის ძარღვი, ღიხი, მითად და ზღაპრად დარჩენილი სინამდვილე – ოქროს კოლხეთი და მარად წელში გაულუნავი ივერია. მინდა ხმამაღლა ვთქვა, რომ მშვენიერი საქართველოა ჩემი სამშობლო, სადაც მიწის ყოველი გოჯი უფლის ნაკურთხია, ზეცა კი იმედის სხივით გაბრწყინებული. ბერძენთა ჩვენი საქართველო, საგარეჯო და გარეჯელები კი მისი ყლორტები. გარეჯი ჩემი სამშობლოა, ჩემი სახლია, ჩემი დედაა!.. მინდა მოვეფერო და გულში ჩავიტოვო მისი ახავერდებული ველმინდვრები, მისი ბებერი მთები და ღამაზი ჩანჩქერები, ყურძნით დახუნძლული ვაზის ტევრები, ოქროსფერი თავთუხის თმები და რწმენით კურთხეული ერი ქართული.

საგარეჯო გარეკახეთის უღამაზესი ძირძველი ისტორიული სოფელია, რომლისთვისაც ჩვენს წინაპრებს „თვალი“ დაურქმევიათ. ის ჯერ კიდევ ადრე საუკუნეებში (VIII-XI სს) იხსენიებოდა. ამას გოგლა ლეონიდის ნათქვამიც ადასტურებს: გამოჩენილ მწიგნობარ „გრძელიძეთა“ (არსენ ნინოშვილს) აქაური იყო, ილარიონ თვალელიც – XI საუკუნის მოღვაწე; „თვალი“ დღესაც ჰქვია საგარეჯოს, აქედანაა „თვალთხევი“, რომელიც მთიდან ჩამოდის საგარეჯოში.

ცნობილია, რომ მეფე ერეკლეს ძალიან პყვარება ჩვენი სამკვიდრო და ხშირად მოდიოდა თურმე აქ.

გადაჭარბებული არ იქნება, ვფიქრობ, თუ ვიტყვი, რომ მართლაც უღამაზესია ჩვენი გარეჯი, რომელიც ცივ-გომბორის კალთებზეა შეფენილი. მნახველს დღესაც ატყვევებს მისი საოცარი ბუნება. ჩრდილოეთიდან მას ამშვენებს თმაქოხორა რცხილისა და მუხის ტევრი – სათავე ჩვენი ცივი, გემრიელი და მაცოცხლებელი წყლი-

სა. სათავე იყო ჩვენი ოცნების ადგილი, სადაც წელწადში ორჯერ მაინც იმართებოდა სახალხო სეირნობა – ზემო: უკრავდა მუსიკა, ეწეობოდა საველე კაფე-სასაუზმეები და ჩვენ კი – მოსწავლეებს დაგვეონდა ღამაზად გაფორმებული საფოსტო ყუთებით მოვირჩინეთა ბარათები. მართლაც რომ დაუვიწყარი იყო ეს დღეები.

თუმცა მეორე მსოფლიო ომით მიყენებული ჭრილობები ჯერ კიდევ მოშუშებული არ ჰქონდათ გარეჯელებს, მაგრამ ახალგაზრდობა მაინც უფრო სხვაგვარად აღვიქვამდით და დაუვიწყარი იყო ეს დღეები.

დღეს იუბილარია ჩემი მშობლიური კუთხე, ჩემი საგარეჯო, სადაც 80 წელი ვიცხოვრე. მქონდა ბევრი სიხარულიც და საწუხარიც. მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ვხედავ განახლებულს, ამაღლებულს, კეთილმოწყობილსა და დამშვენებულს. თუმცა ბევრი რამ გასაკეთებელია, ის, რაც მას ქალაქის იერ-სახეს მისცემს.

დიდი სიყვარულით ვულოცავ მას იუბილეს და ვუსურვებ კვლავაც ამაღლებული გზით სიარულს. დაე, ღმერთი იყოს მისი მფარველი. ისაროს თითოეული გარეჯელის ფუქემ და ჭერმა, დაეძღვოს სიყვარული და მრავალძეობა, დამდეგი ახალი წლის ფონზე ბედნიერება და სიტკბოება იყოს მათი ცხოვრების თანამზავერი.

დედა ღვთისა იყოს თქვენი მფარველი, გარეჯელებო! გიყვარდეთ თქვენი მშობლიური კუთხე, რადგან სამშობლო მხოლოდ ღამაზი მთები არ არის. გარეჯი ჩემგან, თქვენგან მითხროვს ერთმანეთის მხარეში დგომას. გიყვარდეთ ერთმანეთი, ხანგრძლივ სიცოცხლეს კი მაშინ აქვს ფასი, თუ თითოეული ჩვენგანის სიცოცხლე ქვეყნისა და ხალხის სიკეთეს ემსახურება. მე კი მინდა, ყველამ ერთად, გარეჯელებო, შევფიცოთ მშობლიურ საგარეჯოს პოეტის სიტყვებით:

„გამისკდეს მიწა, თუ შეგბდალო, თუ გივერაგო,

შენ საქართველოს ფარ-აბჯარო, ჯაჭვის პერანგო!“

ეთერ მურმანიშვილი, საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი პედაგოგი, 80 წლის პენსიონერი.

საგარეჯო 80 წლის გადმოსახედიდან

ტარიელ მეიფარიანი უკვე 80 წლისაა და მთელი ეს წლები საგარეჯოში გაატარა. მას საყვარელ ქალაქთან ბევრი კარგი მოგონება აკავშირებს, რომლებიც ძველი ქალაქის სურათებთან ერთად ჩარჩა მეხსიერებას. აი, რა მითხრა პაპამ, როცა იგი ჩვენს პატარა ქალაქს იხსენებდა:

„ტკბილად ვიგონებ საგარეჯოს, ახლაც ნათლად მახსოვს ძველი შენობები, სკვერები, გარემო, სადაც ჩემი სიცოცხლე გაატარე. დღეს ყველაფერი გადასხვაფერებულია. ვეღარ ვხედავ ძველი, უბერებელი თეატრის შენობას, ქალაქის სკვერს, რომლის ადგილას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შენობაა.

საგარეჯოს ცენტრი მთლიანად ნაძვანში იყო ჩაფლული, მუნიციპალიტეტის გადასწვრივ ახლანდელი სამსართულიანების მაგივრად, სატყეო მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა იყო. თვალის დახუჭვისთანავე მახსენდება ძველი კინო, სადაც საგარეჯოელებს საღამოები ტკბილად გაუტარებიათ. ჩვენი პურის საცხობი, სადაც დღეს კინოს შენობაა. ადარც ძველი და ახალი სტამბის შენობებია, რომელთაგან ერთი ცენტრში, ერთიც თამარ მეფის ქუჩაზე იყო.

ჩვენი ქალაქი დღითიდღე ღამაზდება, მაგრამ მუდამ შეინახავენ მის ძველ იერ-სახეს, თავისებურ მშვენიერებასა და ხიბლს.

ეთერ მურმანიშვილი, საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის XII კლასელი.



ვინ როგორ შეხვდა ახალ წელს

წინასწარსწავლული ფორმი

საგარეოს პროფესიულ კოლეჯში

ლიზი თევდორაშვილი – საგარეოს მეორე საჯარო სკოლის პირველკლასელი:



გამორის გარდაეგები დაიწყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მალე ახალი წელი მოვიდოდა და მის შესახებ ვეღარ ვეფელა. ოჯახში ფუსფუსი დაიწყო. მთელი წელი ვცდილობდი კარგად მოვეცემულიყავი, კარგად მესწავლა, რომ თოვლის პაპას ჩემთვის საჩუქარი მოეტანა.

უხაროდა ყველას ახალი წლის მოახლოება. მე და დედა მთავრით ნაძვის ხეებზე ტკბილზე ტკბილი გოზინაყი გააკეთა. მამამ უამრავი ტკბილეული მოიტანა. ჩემმა უსაყვარლესმა პაპამ კი შუშუნები მომიტანა.

კარგად მოვემზადეთ 2013 წლის შესახებ ვეღარ. მე დღისითაც კი დავიძინე, რომ თოვლის პაპის მოსვლა არ გამოძარცვოდა. მინდოდა მოვეფრებოდი და მადლობა მეტკვა საჩუქრისათვის. „ხომ მოვა თოვლის პაპა?“ – უკვე მერამდენედ ვეკითხებოდი ხან დედას, ხან ბებოს. „მოვა, მოვა“ – მპასუხობდნენ ისინი და მეც ველოდი. საათის ისრები ნელ-ნელა 12 საათს უახლოვდებოდა... მე ჩამეძინა. მალე გაშეღებოდა. ამ დროს კარები გაიღო და მამა შემოვიდა. ხელში თოვლის პაპის საჩუქარი ეჭირა. მე ისევ ვერ ვნახე და ვერ მოუხადე მადლობა საყვარელ თოვლის პაპას, რომელმაც დამაზი საჩუქარი მომიტანა. ამაზე ცოტა დამწველი გული, მაგრამ არა უშავს. მომავალ წელს ვნახავ... მალე საათმა 12-ჯერ დარეკა და ახალი 2013 წელიც მოვიდა ხალისით, სიმღერით, შუშუნებით და მხიარულებით.

ამის შემდეგ იყო ბევრი მრავალჯამიერი და ბევრი მილოცვები და მეც ყველას გილოცავთ ახალ 2013 წელს.

წინდა თეორიულ-პრაქტიკულ სწავლებასთან ერთად საგარეოს პროფესიული კოლეჯის სტუდენტები აქტიურად არიან ჩაბმული სხვადასხვა საშემსრულებლო-კვლევითი ღონისძიებებში და პროექტებში, აწეობენ სხვადასხვა კულტურულ-გასართობ-შემეცნებით ღონისძიებებს, ვიქტორინებს, „კავენებს“ და ასე შემდეგ. სასწავლებლის სტუდენტებმა, პედაგოგ-მასწავლებლებმა და დირექციამ ზეიმით აღნიშნეს ახალი 2013 შობა-ახალი წლის შემობრძნება.

ლამაზად მორთული ნაძვის ხით დამშვენებულ სააქტო დარბაზში მოხეიმე ახალგაზრდებმა წაიკითხეს ლექსები, იმღერეს, იცეკვეს.

დამდეგი 2013 წელი და სასწავლებლის დაარსებიდან 12 წლის შესრულება დამსწრე პედაგოგებსა და სტუდენტებს მიულოცა. ჯანმრთელობა, ბედნიერება, ნატერის და სრვიდების ასრულება, ქვეყნის გაძლიანება და წინსვლა, შემდგომი წარმატებები უსურვა სასწავლებლის სასწავლო პროცესის მენეჯერმა თამარ აბულაშვილმა. როგორც მან აღნიშნა, შპს საგარეოს პროფესიულმა სასწავლებელმა „ილიამ“ წელს 27 დიპლომირებული სპეციალისტი გამოუშვა, საიდანაც 16 უკვე დასაქმებულია. ქალბატონმა თამარმა ასევე თქვა:

– მთელი მსოფლიო გამოხატავს თანადგომას პროფესიული განათლების მიმართ.



2012/12/24



2012/12/24

გათვალისწინებულია, რომ წელს აშშ საქართველოს გამოუყოფს 15 მილიონიან გრანტს პროფესიული განათლების დასაფინანსებლად, რაც კიდევ უფრო მეტ პერსპექტივებს სახავს ქვეყნის ამ სახის და მათ შორის საგარეოს პროფესიული განათლების კოლეჯის წინაშე. ამისდაკავალაზე წელს სასწავლებელი გაატარებს მთელ რიგ შეღავათებს სტუდენტთა სწავლებისა და დაფინანსების კუთხით. გაიზრდება მუნიციპალიტეტის ახერბაიჯანულენოვანი სოფლებიდან სტუდენტების რიცხვიც.

თამარ აბულაშვილის შემდეგ მოხეიმე შობა-ახალი წელი მიულოცეს სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებმა, პედაგოგებმა, მეკვლე გიორგი ბუზარიაშვილმა, ახერბაიჯანელმა სტუდენტმა საიდა მამედოვამ, რომელმაც სასწავლებელში მოსვლამდე ორიოდე ქართული სიტყვა თუ იცოდა.

გივი ლაბაძეშვილი

საშობაო-საახალწლო კარნავალი

გაკაშკაშებული დარბაზი და უხარმაზარი ნაძვის ხე მასპინძლობდა საგარეოს №1 საბავშვო ბაღის (მენეჯერი თამარ ლაფერიშვილი) აღსაზრდელების მიერ ნაოსტატარის სანახავად მოსულ სტუმრებს.

საშობაო-საახალწლო სიმღერებს მღეროდნენ პატარები და დარბაზს სინათლე ედგა იმეღისა და მომავლის რწმენისა, გარდასული ქართული ეროვნული სულის სუნთქავს მათ მიერ წარმოთქმული თითოეული ლექსი, ცეკვა, სიმღერა. მდიდრულად წარმოდგენილმა საახალწლო ცეკვებმა მოხიბლეს იქ დამსწრე აღსაზრდელები მშობლები. პატარების ცოცხლად შესრულებულ სიმღერებს, მათ დადინჯებულ თვალებს ეტყობოდა, რომ გრძობდნენ ამ სიმღერების სილამაზეს და მნიშვნელობას. ეს ყველაფერი კი დამსახურებაა ამ საბავშვო ბაღის პედაგოგებისა, რომლებმაც ძალა და ენერჯია არ დაიშურეს, რათა აღსაზრდელები მძალად დონეზე მოემზადებინათ საახალწლო კარნავალისათვის, ისინი ყოველდღიურად გულწრფელი სიყვარულით ეპყრობიან პატარებს. მათი მიზანია: თუ გინდა რომ ბავშვს უყვარდე, უნდა აჩუქო გული შენი. ამ საინტერესო ღონისძიების მიზანიც სწორედ ეს იყო.

ფეხბედნიერი იყოს ახალი შობა-ახალი 2013 წელი თქვენთვის, ჩვენს მომავალ თაობაზე და სრულიად საქართველოსათვის. დმერთამა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

გიორგი ქარსაულიძე
საგარეოს №1 საბავშვო ბაღის
ფსიქოლოგი

ქართული ენის სერტიფიკატები მუნიციპალიტეტის ახერბაიჯანულ მასწავლებლებს „ქართული, როგორც მეორე ენა“

ღონისძიებას პედაგოგების გარდა ესწრებოდნენ აღნიშნული სკოლების დირექტორები. პროექტ „ქართული ენა მომავალი წარმატებებისათვის“ პედაგოგები: ხათუნა ჭეშურაშვილი, რუსუდან დუნიძე, ხათუნა და ნატო ბითაძეები, მოვლა სარიფი და სხვები. ახერბაიჯანულ მასწავლებლებს სერტიფიკატები გადასცა და მიულოცა საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლებისა და კულტურის მთავარმა სპეციალისტმა არჩილ ჯაბადარმა. თავის მხრივ მასწავლებლებმა, ორმულანლოს საჯარო სკოლის დირექტორმა ისლამ გაიბომა დიდი მადლობა მოუხადეს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ქართული ენის სახლის ადმინისტრატორ ეთერ პატარაკაციშვილს და პედაგოგებს იმ დეპარტამენტისათვის, რაც მათ გასწიეს მასწავლებლებისათვის ქართული ენის შესწავლაში. დასასრულ ახერბაიჯანული ჩაითა და ტკბილეულით მოეწყო ალა ფურშეტი.

გივი ლაბაძეშვილი

სურათზე: სერტიფიკატების გადაცემისას



წმინდანთა ცხოვრება

მონაზონი მამა გერი გაბრიელის შესახებ

საგარეჯოელი რუსუდან ოსეფაშვილი წლების განმავლობაში საგარეჯოს ყოფილი აღმასკომის ბუჰხალტერი იყო, ზრდიდა სამ შვილს, ერთგულად ემსახურებოდა თავის საქმეს. მაგრამ ამ 25 წლის წინ უფალმა თავის სამსახურში ყოფნისკენ მოუწოდა და მანაც დატოვა ამსოფლიური საზრუნავი და თითქმის საპენსიო ასაკში მყოფმა მცხეთის სამთავროს მიაკითხა. ეს იყო 1990 წელს – ჯერ მორჩილი იყო, შემდეგ სამონაზვნე, ხოლო 1993 წელს უკვე მონაზვნად აღკვეცეს და უწოდეს დედა ევა. არ იყო ადვილი არც მორჩილის, არც სამონაზვნის და მით უმეტეს – მონაზვნის ცხოვრება... სამთავროში მამა გაბრიელი (ურგუბაძე) ცხოვრობდა თავის პატარა კელიაში. საოცრად არაორდინალური კაცი, რომელიც ზოგჯერ მშვიდი მაძვრად მოაჩვენებდა თავს ხალხს, ხან სულ მთლად ფხიზელი ლოთად და ღვინისმსმელად. მაგრამ დედა ევა ყოველთვის ხედებოდა, ვინ იყო ბერი გაბრიელი, რატომ იყო მისი ხასიათები გაურკვეველი და თითქოსდა მლოცველი ადამიანისათვის ზოგჯერ მიუღებელიც – ეს იყო საღოსი, აღმსარებელი, მლოცველი დღენიდაც საქართველოზე და თითოეულ ქართველზე, მართლმადიდებელზე. ისევე, როგორც რამდენიმე მონაზონი, მამა გაბრიელს დედა ევაც თავისებური მოკრძალებით და პატივისცემით ექცეოდა. როცა 1993 წელს იგი მძიმედ ავად შეიქმნა და პირიდან სისხლდენა დაეწყო, ჩაუქრობელ ლოცვებს უკითხავდნენ დედა ევა. ამ „გრაფიკით“ დედა ევაც იყო ერთ დამეს, ჩაუქრობელი ლოცვების კითხვისას ავადმყოფი ბერი გაბრიელისათვის დედა ევამ შენიშნა, რომ მამა გაბრიელის სენაკში დაბრძანებულ ხატზე გამოსახული მაცხოვარი (ეკლის გვირგვინით) ტუჩებს ამოძრავებდა, დედას არც ის დარჩენია შეუმჩნეველი, რომ ბერი გაბრიელი მას უსმენდა დიდი გულისყურით, თუმცა დედა ევას ქურს ერთი სიტყვაც არ სმენია მაცხოვრისა. მან ექვსი „დიდება“ წაიკითხა და უკუსვლით, შემინებულად, თავზარდაცემული, ამ საშინელი სასწაულის ხილვით შემოწუნებული გამოვიდა სენაკიდან და ძლიერ მოახერხა სულიერი დებისთვის ეთქვა, აღეწერა რაც თვალთ იხილა...



დედა ევა ბერ გაბრიელს უვლიდა მძიმე ავადმყოფობისას. დედა პარასკევა (როსტი-აშვილი) დამე მორიგობდა მასთან, დედა ევა კი – მთელი დღის განმავლობაში უზომავდა წნევას, ტემპერატურას, უკეთებდა ნემსს, ასმევდა წამლებს. თავად დედა ევა მშვიდი, გაწონასწორებული და ერთობ უთქმელი ქალია. ალბათ, ამიტომაც მის თხოვნას ყოველთვის ანგარიშს უწევდა თურმე მამა გაბრიელი და მისი ხათრით იღებდა წამლებს, მცირე საკვებს და ის უხრწნელი სისხლიც (რომელიც 4 წელი იყო მივიწყებული სამუშაო უჯრაში და კვლავ უხრწნელად იყო დარჩენილი) კარგად ახსოვს დედას. აღნიშნული სისხლი ექიმმა ჩვენი თანამემამულის, საპატრიარქოს მთავარი ექიმის ზურაბ ვარაზაშვილის თანდასწრებით აულო და მოათავსა სინჯარაში. სისხლი დედა ევას თანდასწრებითა და თხოვნით გაიღო ბერმა ამჯერადაც. – საოცარი, საკვირველი ბერი იყო, – იხსენებს ჩემთან საუბარში დედა ევა, – ხანამ ზვიად გამსახურდია გარდაიცვალეოდა, ერთი კვირით ადრე, ყინვლად ქცეულ თოვლში ფეხით წავიდა თბილისი. დადიოდა და ლოცულობდა თბილისის ქუჩებში – გაყინული, მშვიერი, ფეხშიშველი – ზვიადის უჭირს, ჩემი ლოცვით უნდა დავეხმარო. ვინ გადაეღობებოდა წინ, ვინ აუკრძალავდა

თავის ასე განწირვას? ვერავინ, რადგან მას თავად უფალი, დედა ღვთისა აძლიერებდა – მოყვასისათვის თავდადებულს. ზვიადის გარდაცვალების დამეს კი სამთავროს ეხოში დარბოდა, ზარებს არისხებდა, ხმამაღლა გააკვიროდა: ადექით, ადექით, გამოფხიზლით, ზვიადის უჭირს, მოკლავენ, ზვიადისთვის ვილოცოთო!.. იმ დამეს მართლაც დღემდე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ზვიად გამსახურდია. ბერი გაბრიელი ზვიადის შვილის ნათლია იყო, თუმცა იმასაც ვიტყვი თამამად, რომ არავის ისე არ ჰქონდა გაცნობიერებული ზვიადის მისია საქართველოსთვის და მართლმადიდებლობისთვის, როგორც ბერ გაბრიელს...

გარდაცვალებამდე ძლიერი ტკივილები ახრობდა მამა გაბრიელს, ლამაზი, ცისფერი თვალები გაუყვავებდა, საოცარი სიმშვიდით იტანდა გაუსაძლის ტკივილებს. ნოემბრის იმ დღით მასთან შესულს, ზურგმუკევეთ მწოლიარე დამხვდა. გამომბარუნეო, მითხრა და როცა დახვდებოდი – დამდგარიყო მისი ამ სოფლიდან გასვლის დრო. ყველას შეგატყობინე მონასტერში, მობრძანდა მეუფე დანიელი (დავითაშვილი). ძალიან გაჭირდა სულის ხორცისგან გაყრა. კეთილშობილი სულის გასვლის ლოცვებს. შემდეგ მეუფემ თავზე

„კურთხევანი“ დაადო და უთხრა: გაბრიელ, უფალმა შეგინდოს დაეწყებული, მოუნანიებელი ცოდვებით, ერთი გაიღმა ბერმა და სული ხორცს გაეყარა. მისმა მოხივეარულე უფალმა გადაინაცვლა იქ, საიდანაც ისევ დაუცხრომლად ლოცულობს საქართველოსთვის. მისი ანდერძისამებრ, ჭილობში გაავახვიეთ და ისე მოკლე ჭილოფში, რომ ფეხებიც ვერ დაეფარა. დავკრძალეთ იქ, სადაც თვითონ სწირად უყვარდა ყოფნა, მონასტრის ეწ. ნავახსიერულზე, საქათმესთან.

დღეს მისი საფლავი მოვლილია. იქ მისულ ადამიანებს ჩაუქრობელი კანდელი ხედებათ, რომლის ზეთი მაკურნებელია. თავად მძიმე ავადმყოფი ადამიანი, საფლავის მომლოცველიც არაერთი სასწაულის მომსწრე გამხდარა – მამა გაბრიელს განკურნების და კეთილი სურვილების ახდენის დიდი ძალა აქვს.

მე ბედნიერი ვარ, რომ მამა გაბრიელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით წმინდანად შეირაცხა. მინდა მადლიერება გამოვთქვა დედა პარასკევას მიმართ, დიდი და დაუშურველი ღვაწლისათვის, რაც მან გასწია ბერი გაბრიელის საფლავის მოვლისას და საერთოდ მისი წმინდანად შერაცხვისათვის. დემრთმა დალოცოს, გააძლიეროს ყველა ქართველი, ვისაც ბერი გაბრიელი უყვარს, სწამს მისი, პატივის მიაგებს და საქართველოს, ქართველი ერის შემწედ, მუხად და მფარველად ჰყავს აღიარებული. მადლობა ჩვენს მწყემსმთავარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს მამა გაბრიელის მხარდაჭერისა და წმინდანად შერაცხვის საქმეში გაწეული დიდი ამბავისათვის.

სურათზე: მამა გაბრიელი სამთავროს მონაზვნებთან (დედა ევა დედას მამა გაბრიელის მარჯვნივ), მორჩილებთან, სამონაზვნებთან და მღვდელ საბასთან ერთად.

სწორედ ამ საერთო სურათიდანაა ამოღებული ბერი გაბრიელის სურათი, ძვირფასო მკითხველო, რომელიც გავრცელებულია სრულიად საქართველოში. დააკვირდით სწორედ ამ სურათზე მის კაბაზე გამოსახული ხის ფოთლების ჩრდილი მტრედის სახით (მარჯვენა მხარზე).

თინა ილაშრო

სსოვნა სიკვდილზეა ძლიერი

ოთარ მედულაშვილი

სიცოცხლის წყურვილი და ხალისი 85 წლის ასაკშიც არ განუღებია. ოთარ მედულაშვილის სიცოცხლე უხაროდა და უყვარდა. მზრუნველი გული ჰქონდა, პასუხისმგებლობით გაჯერებული სიმკაცრე, დიდი სიბრძნე – პატივსაცემი და ვალდებულებების, მოვალისა, მოქალაქისა, სამხედრო მოხელისა. იღვაწა, ვითარცა კეთილმა მეომარმა: საქმით – მიწიერი მხედრობისთვის – წუთისოფლისათვის, სულით კი – ზეციურ მხედრობასთან შესახვედრად.

40 დღეა, რაც ოთარ მედულაშვილის სული მიწიერ სახევერებს გადის – დემონებს დევნის კეთილნადგაწით განწმენდილი მისი სული, რათა სიკვდილითაც მოიპოვოს სიცოცხლე – მარადიული სიხარული და განსახიერებელი.

უღმერთობის ხანაში დაიბადა; სამხედრო მოხელის კარიერა განვლო, მაგრამ თანდაყოლილი სჯულისა და სინდისისათვის, პატიოსანი სიტყვისა და საქმისათვის არ უღალატია. გამოცდილი მეომრის შეუპოვრობით ებრძოდა უწესრიგობას, უსამართლობას, უსულგულობას, ფარისევლობას, რათა სიყვარულს, სიკეთეს, წესიერებას ეხეიმა. მხედრული წესრიგი და მომთხროვნელობა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა, თუმცა სიყვარულის ნიჭი, შინაგანი კულტურა, თავაზიანობა, ხალხის თემორი სასიამოვნოს ხდოდა მასთან ურთიერთობას. უფროსხილდებოდა ქართულ ტრადიციულ დი-

რებულებებს: ადრე გარდაცვლილი დედის ხსოვნას, დაძმური სიყვარულის მადლს, ნათესავ-მეგობრებთან ურთიერთობის სიხარულს, უფროს-უმცროსობის, თავაზიანი ურთიერთობების სიღამაზეს.

ცხოვრების მეგობრად სიმშვიდითა და სათნოებით რწმუნე ქალბატონი თინათინ სირაძე აირჩია. უერთგულა სიცოცხლეშიც და სულიც შემდეგაც: სანთელ-საკმელი და სულის საცხონებელი მსახურებანი არ მოაკლო გარდაცვალებამდე. საკუთარი შვილებს და შვილიშვილებს გარდა, თაობები აღზარდა თავისი ცხოვრების წესით, სამხედრო-პატრიოტული საქმიანობის 50-წლიანი ასპარეზით, ხანდაზმულის სიბრძნით და სიმტკიცით, მსჯავრით და შეუპოვრობით. მისი მყუდრო ოჯახი სიხარულსა და სავანე იყო სანათესაოსათვის. როცა მარტო დარჩა, სანათესაო შემოიკრიბა ოჯახურ-საგარეულო ფასეულობათა შესანარჩუნებლად. ბერძენად იქცა სანათესაოსათვის. გემგავა, თავაკობდა, მასპინძლობდა საიუბილეო-სადღესასწაულო შეხვედრებს, სულის მოსახსენიებელ ალაპებს, სატელეფონო საუბრებსა და მილოცვებს; ჩვეული სისადავითა და სიყვარულით შეკრიბა ფორტოსურათები და დოკუმენტები, ოფიციალურ-საქმიანი მიმოწერა, ჯილდოები, წახალისებანი; განაახლა და შეავსო საოჯახო ალბომები, ფოტოსტენდები: „ჩემი ცხოვრების განვლილი გზა“, „გენეალოგიური სახსოვარი“ (მცირე სამლოცველო გარდაცვლილთათვის), „სანათესაო“. მოაწყო საოჯახო მუზეუმი.

სიჭარბავეში კალამს მოჰკიდა ხელი – დეკლარაციებით, მისალოცებით, შეგონებებით განამტკიცა სიყვარულსა და სულიერ ერთობას სანათესაო-სამეზობლოსთან; გულით ნაგრძობს გადმოსცემდა: ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში, საგაზეთო პუბლიკაციებში, საყ-

ოფაცხოვრებო-სამოყვარულო პოეზიაში.

მშვიდი ნაცხაუდელი თავისთვის არასოდეს უქებია. გულისყურით და მღვდლურად ადევნებდა თვალს შორეული ნაოსნობის გემზე მყოფი ვაჟიშვილის გადაადგილების მარშრუტს, ქალიშვილის პედაგოგიური საქმიანობის შედეგებს, ახლობელთა და თანაქალაქელთა ზნეობრივ-მორალურ შეხედულებებს, მათი ცხოვრების წესს, ღირებულებებს; აკვირდებოდა ქვეყნის მაჯისცემას, იხსენებდა და სწავლობდა საგარეჯოს 50 წლიანი ისტორიის ფურცლებს. დაინტერესდა გარეჯოელი მამების ცხოვრებითა და ღვაწლით, მსჯელობდა ონოფრე გარეჯელისათვის (ოთარ მაჭუტაძე) პატივის მიგების ღონისძიებებზე. მოქალაქეობრივი აქტიურობით ცდილობდა ყოფილიყო საგარეჯოს საიუბილეო ღონისძიებების მონაწილე...

„სადა არს ღვაწლი, მუნცა გვირგვინი“. ოთარ მედულაშვილმა მადლით იღვაწა წუთისოფელში. დემრთთან მყოფობის სიხარულმა გვირგვინის მისი სული!

სანათესაოს სახელით:

ოთარ მედულაშვილი, ლეონა ჭავჭავაძე, ლია მაგულაშვილი

ღმერთ თულაშვილი

შვიდი წელია რაც ჩვენთან აღარ ხარ, ლექსო! სათქმელად ადვილია, მასში შემაგალი ყოველი წელი, თვე, საათი, წუთი და წამი უშენოდ ძლიან ბევრია! ტკივილი არ ყუნდება და დარდი არ ქრება. თითქოს ყველაფერი ამო გახდა ჩვენთვის, სხვა თვალთ დაგვანახე ცხოვრება, სიხარული და ბედნიერება წავგართვი... ერთადერთი, რაც დაგვიტოვე, შენი შვილია, შენი ბიჭი... ახლა ისა ჩვენი ნუგეში და იმედი. შენი სიცოცხლე მასში გრძელდება, როცა თავისი ლამაზი, ჭკვიანი თვალებით გვიყურებს და გვეკითხება: მამიკოს ეს სატყელი უყვარდა, ან ეს თამაშიო. ცრემლი გვახრჩობს, მაგრამ მას არ ვაჩვენებთ ჩვენს ტკივილს, არ გვიჩვენებთ, რომ ცხოვრებისგან დახარული, კიდევ უფრო დახარული, ბავშვობა დავეკარგეთ. ვუცინით, ვამხნევეთ და ვეუბნებით, რომ შენსავით ყოჩაღი, დიდი და ძლიერია...

დაბადების დღეს, 9 იანვარს გილოცავთ, ლექსო! დემრთმა დაუმკვიდროს შენს სულს სასუფეველი, ჩვენო ბიჭო.

ოქსანო

აიპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების ღირექცია თანაგრძობას უცხადებს ამავე გაერთიანების ყოფილ ღირექცეს გია ბედიაშვილს ბიძის **სულიერ პატივსაცემის** გარდაცვალების გამო.

2013 წლის მართლმადიდებლური კალენდარი

იანვარი	
ორშ.	7 14 21 28
სამშ.	1 8 15 22 29
ოთხშ.	2 9 16 23 30
ხუთშ.	3 10 17 24 31
პარ.	4 11 18 25
შაბ.	5 12 19 26
კვ.	6 13 20 27
თებერვალი	
ორშ.	4 11 18 25
სამშ.	5 12 19 26
ოთხშ.	6 13 20 27
ხუთშ.	7 14 21 28
პარ.	1 8 15 22
შაბ.	2 9 16 23
კვ.	3 10 17 24
მარტი	
ორშ.	4 11 18 25
სამშ.	5 12 19 26
ოთხშ.	6 13 20 27
ხუთშ.	7 14 21 28
პარ.	1 8 15 22 29
შაბ.	2 9 16 23 30
კვ.	3 10 17 24 31
აპრილი	
ორშ.	1 8 15 22 29
სამშ.	2 9 16 23 30
ოთხშ.	3 10 17 24
ხუთშ.	4 11 18 25
პარ.	5 12 19 26
შაბ.	6 13 20 27
კვ.	7 14 21 28
მაისი	
ორშ.	6 13 20 27
სამშ.	7 14 21 28
ოთხშ.	1 8 15 22 29
ხუთშ.	2 9 16 23 30
პარ.	3 10 17 24 31
შაბ.	4 11 18 25
კვ.	5 12 19 26
ივნისი	
ორშ.	3 10 17 24
სამშ.	4 11 18 25
ოთხშ.	5 12 19 26
ხუთშ.	6 13 20 27
პარ.	7 14 21 28
შაბ.	1 8 15 22 29
კვ.	2 9 16 23 30



5 მაისი – ბრწყინვალე აღდგომა იესუ ქრისტესი

საუფლო დღესასწაულები: 7 იანვარი – შობა უფლისა; 19 იანვარი – ნათლისღება, წყლის კურთხევა; 15 თებერვალი – მირქმა (მიგებება); 7 აპრილი – ხარება ღვთისმშობლისა; 28 აპრილი – ბზობა. ბაიაობა; 13 ივნისი – ამადლება; 23 ივნისი – სულთმოფენობა; 19 აგვისტო – ფერისცვალება; 28 აგვისტო – მარიამობა; 21 სექტემბერი – ღვთისმშობლის შობა; 27 სექტემბერი – ჯვართამადლება; 4 დეკემბერი – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება.

დიდი დღესასწაულები: 27 იანვარი – ნინობა; 8 თებერვალი – დავითობა; 6 მაისი – გიორგობა; 12 მაისი – კვირაცხოველობა; ანდრიაობა; 28 ივლისი – მოწ. კვირიკესი და ივლიტესი; 9 აგვისტო – პანტელეიმონობა; 26 სექტემბერი – ქეთევანობა; 14 ოქტომბერი – მცხეთობა, სვეტიცხოველობა; 21 ნოემბერი – მთავარანგელოზობა; 23 ნოემბერი – გიორგობა; 13 დეკემბერი – ანდრიაობა, ვახტანგ გორგასლობა; 17 დეკემბერი – ბარბარობა; 19 დეკემბერი – ნიკოლოზობა; 24 დეკემბერი – ხსენება ყოველთა ქართველთა წმიდათა.

მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები: ხორციელი შაბათი – 9 მარტი; დიდი მარხვის მეორე შაბათი – 30 მარტი; დიდი მარხვის მეოთხე შაბათი – 13 აპრილი; თომას კვირის სამშაბათი – 14 მაისი; სულთმოფენობის წინა სულის შაბათი – 22 ივნისი; დიმიტრის შაბათი – 2 ნოემბერი.

სამკლესიო სამახსოვრო დღეები: 25 მარტი – საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის დღე (1917 წ.); 2 აგვისტო – სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის ანგელოზის დღე; 25 დეკემბერი – ილია II-ის აღსაყდრების დღე (1977წ.).

ივლისი	
ორშ.	1 8 15 22 29
სამშ.	2 9 16 23 30
ოთხშ.	3 10 17 24 31
ხუთშ.	4 11 18 25
პარ.	5 12 19 26
შაბ.	6 13 20 27
კვ.	7 14 21 28
აგვისტო	
ორშ.	5 12 19 26
სამშ.	6 13 20 27
ოთხშ.	7 14 21 28
ხუთშ.	1 8 15 22 29
პარ.	2 9 16 23 30
შაბ.	3 10 17 24 31
კვ.	4 11 18 25
სექტემბერი	
ორშ.	2 9 16 23 30
სამშ.	3 10 17 24
ოთხშ.	4 11 18 25
ხუთშ.	5 12 19 26
პარ.	6 13 20 27
შაბ.	7 14 21 28
კვ.	1 8 15 22 29
ოქტომბერი	
ორშ.	7 14 21 28
სამშ.	1 8 15 22 29
ოთხშ.	2 9 16 23 30
ხუთშ.	3 10 17 24 31
პარ.	4 11 18 25
შაბ.	5 12 19 26
კვ.	6 13 20 27
ნოემბერი	
ორშ.	4 11 18 25
სამშ.	5 12 19 26
ოთხშ.	6 13 20 27
ხუთშ.	7 14 21 28
პარ.	1 8 15 22 29
შაბ.	2 9 16 23 30
კვ.	3 10 17 24
დეკემბერი	
ორშ.	2 9 16 23 30
სამშ.	3 10 17 24 31
ოთხშ.	4 11 18 25
ხუთშ.	5 12 19 26
პარ.	6 13 20 27
შაბ.	7 14 21 28
კვ.	1 8 15 22 29

- მარხვა
- ⦿ ვნების შვიდეული
- მიცველებულთა ხსენება
- საუფლო
- მსგეფსი

- ⦿ ბრწყინვალე შვიდეული
- ყველიერი

დიდი მარხვა: დიდი მარხვა 18 მარტი - 4 მაისი; პეტრე-პავლობის მარხვა - 1 ივლისი-11 ივლისი; მარიამობის მარხვა - 14 აგვისტო-27 აგვისტო; შობის მარხვა - 28 ნოემბერი-6 იანვარი.

- მომაგალი ნომრის ანონსი:**
1. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლისთავი;
 2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებს ახალი რწმუნებულეები ჰყავს;
 3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების შენობების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.
 4. ხილული სასწაული გიორგიწმინდაში.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 577 951 488

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com